სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად **რექტორის 2017 წლის 30 მაისის ბრძანება №101/01–01** საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: **თეორიული ინფორმატიკა** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2017 წლის 7 ივნისის დადგენილება №65/2017** მე–3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი „21" ივლისი, 2017 წ.
11:00

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 4–ვე წევრი: 1. კობა გელაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); 2. მანანა ხაჩიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ირინა ხუციშვილი (კომისიის მდივანი); 4. ბიძინა მიდოდაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: თეორიული ინფორმატიკა პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ კობა გელაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ კონკურსანტმა I კატეგორიაში: „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს". II კატეგორიაში: „პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი 5 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო კურსი არის კომპიუტერული მეცნიერების სასწავლო გეგმაში და ამჟამად იკითხება მის მიერ, წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, მის მიერ II კატეგორიაში მიღებულია უმაღლესი შეფასება. III კატეგორიაში: „სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა", მის მიერ წარმოდგენილია ბოლო 6 წელიწადში შესრულებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე ორი და რამდენიმე სხვა სტატია გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. იგი მონაწილეობს საგრანტო პროექტებში, თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (6). მის მიერ განსახილველად წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია დამაჯერებელია და რეალისტური. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი. IV კატეგორიაში მის მიერ აღწერილია ბოლო 6 წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ღონისძიებები (აქტივობები)- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების „კომპიუტერული მეცნიერება" - თანახელმძღვანელი, სტუდენტთა სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის

ხელმძღვანელი 2013–2015 წლებში. ფლობს უცხო ენებს: გერმანულს რუსულს და ინგლისურს თავისუფლად, ფრანგულს კარგად. საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი.

გარდა ამისა, გასაუბრების შედეგების მიხედვით აგრეთვე დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: თეორიული ინფორმატიკა არსებულ პროფესორის ვაკანსიასთან.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: **თეორიული ინფორმატიკა** პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

ალექსანდრე გამყრელიძე – პროფესორი;

მოისმინეს: კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე, პროფ. / კობა გელაშვილი /

კომისიის წევრები:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. / მანანა ხაჩიძე /

კომისიის წევრი, ასოც. პროფ. / ბიძინა მიდოდაშვილი /

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ. / ირინა ხუციშვილი /